საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2020 წლის 26 ივნისი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №138/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 17 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის №138/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლის მხრიდან საქმის განხილვა უსაფუძვლოდ ჭიანურდება, რაც ბადებს მოსამართლის მიკერძოებისა და არაობიექტურობის ეჭვს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 9 ნოემბერს -- -- სარჩელით ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხეების - -- --, -- --, -- -- მიმართ.

-- -- სასამართლოს 2016 წლის 10 ნოემბრის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და შესავსებად განესაზღვრა საპროცესო დავა 7 დღე.

2016 წლის 15 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

2016 წლის 25 ნოემბერს მოპასუხეების წარმომადგენელმა წარადგინა საჩივარი 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინებაზე და მისი გაუქმება მოითხოვა.

2016 წლის 2 დეკემბერს მოსარჩელის წარმომადგენელმა -- -- მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს.

-- -- სასამართლოს 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა.

2016 წლის 6 დეკემბერს მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოში წარადგინა მოპასუხეებისათვის სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარების დამადასტურებელი გზავნილები.

2016 წლის 9 დეკემბერს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი. 2016 წლის 9 დეკემბერს დამატებითი საჩივარი წარადგინა სასამართლოში მოპასუხეების წარმომადგენელმა და მოითხოვა მოპასუხისათვის სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა; ასევე წარადგინა საჩივარი 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინებაზე და მისი გაუქმება მოითხოვა.

2016 წლის 12 დეკემბრის განჩინებით საჩივარი -- -- სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

2016 წლის 23 დეკემბრის განჩინებით -- -- და -- -- წარმომადგენლის -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2016 წლის 27 დეკემბრის განჩინებით საჩივარი 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს. -- სააპელაციო სასამართლოში საქმე გადაიგზავნა 2016 წლის 28 დეკემბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 8 თებერვლის განჩინებით -- --, -- -- და -- -- საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინება.

სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 8 თებერვლის განჩინებით -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინება.

სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 8 თებერვლის განჩინებით -- -- სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინებით დადგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე გამოყენებული იქნა უზრუნველყოფის გარანტია.

2017 წლის 6 მარტის განჩინებით გაუქმდა -- -- სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

2017 წლის 24 მარტს -- -- წარმომადგენელმა საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2017 წლის 8 თებერვალს და 2017 წლის 6 მარტს გამოტანილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინებებზე.

2017 წლის 29 მარტის განჩინებით -- -- საჩივარი -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 08 თებერვლის განჩინებაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზე და ამავე სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ 2017 წლის 06 მარტის განჩინებაზე, არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 4 მაისის განჩინებით -- -- საჩივარი, -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 8 თებერვლის და 2017 წლის 6 მარტის განჩინებების გაუქმების თაობაზე, დარჩა განუხილველად.

2017 წლის 12 ივლისს საქმე გადაიგზავნა -- -- სასამართლოში.

2017 წლის 25 სექტემბერს სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელმა და საქმის შემჭიდროვებულ ვადებში განხილვა და გადაწყვეტა ითხოვა.

2018 წლის 16 ივლისის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 7 სექტემბერს.

-- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2016 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 652 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა - 263 საქმე (40%), 2017 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 1350 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა - 702 საქმე (52%), ხოლო 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 2100 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა - 740 საქმე (35%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 17 მაისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს. (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს, კერძოდ, არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria, 50; Bock v. Germany, 35).

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი

კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H.V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, 93; Tiece v. San Marino, 31; Suermeli v. Germany, 129.).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, 98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან, და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს, შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2016 წლის 9 ნოემბერს, ხოლო მოპასუხისათვის სარჩელი და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების დასტური 2016 წლის 6 დეკემბერს, საქმე მიმდინარეა. მოსამართლის მიერ საქმის განხილვის ვადა შეადგენს 1 წელსა და 8 თვეზე მეტს. დროის ის მონაკვეთი, როდესაც საქმე ზემდგომ სასამართლოში იყო გადაგზავნილი (2016 წლის 28 დეკემბრიდან 2017 წლის 12 ივლისამდე პერიოდი, 7 თვე) საქმის

განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურების კუთხით არ უნდა იქნას გათვალისწინებული. შესაბამისად, სახეზე გვაქვს საქმის განხილვის გაჭიანურება 1 წლით და 1 თვით.

ამდენად, ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინებით, რაც გამოიხატა ზემოხსენებული სტატისტიკის შეფასებით, საქმეთა სიმრავლის, მოსამართლის დატვირთულებისა და საქმის სირთულის გათვალისწინებით, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №138/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი